ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2023 წელი 29 სექტემბერი №9 (8196) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

გვ3.

პირველ ოქტომბერს არჩევნებია

სრჩევნი ოქვენ!

გვ3.

საბავშვო ბაღი სოფელ ქვემო გომში

გვ4.

წლების კვალდაკვალ

კავთისხევი: აფციაურის ხსოვნის მემორიალი — პირველი რესპუბლიკური

გვ6.

გვ2.

ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს

გვ2.

წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები

გვ2.

მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია

გვ2.

გვ2.

დამცავი კედელი საბავშვო ბაღებში

გვ2.

ახალი სასწავლო-საალმზრდელო წელი დაიწყო

გვ2.

კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო„

გვ2.

გვ2.

რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით

გვ2.

მადლობა ამაგდარს

გვ5-

მომღერალი ოჯახები ზაზა ზაალიშვილი

კასპი: გამხიტაშვილის ხსოვნის პირველობა — მსოფლიო ახალგაზრდული შესარჩევი

გვ6.

გვ6.

მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი

გვ7.

საფეხბურთო ტალღაზე ...

92-ე წელია ჩვენი გზაგთი იწერება, ვგრძოვებს, იბადება რეალობის იყალორიას, ხანაც ეს ფურცლის ყვითელი ჭრილვა, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფოლოვმზებელი მეცნიერებ. . . გახლავთ ჩვენი მკითხველი! და გამოიწერეთ "ხალი განთიადი"!

ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე და კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ნათია ილურიძე ქალაქის საჯარო სკოლებს ეწვივნენ და მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

ქალაქის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მარინა მენაბდიშვილს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭა.

მასწავლებელს სერტიფიკატი და სამკერდე ნიშანი - ვახტანგ მაისურაძემ გადასცა.

დამცავი კედელი

ქალაქ კასპში, კოსტავას ქუჩა №16-ში ეზოს დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოების მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი აჩიკო გიგოლაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ.

მრავალსართულიანი ბინის არსებული დამცავი კედელი ამორტიზებული და საშიშროების შემცველი იყო.

მუნიციპალიტეტის მერიამ მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით კედლის მოწყობის სამუშაოების ტენდერი გამოაცხადა. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ვერბალგრუპი" ამჟამად ბეტონის სამუშაოებს ახორციელებს.

წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც დებეტის გაზრდას ითვალისწინებს.

პროექტით დაგეგმილ მიმდინარე სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის მოადგილესთან ზურაბ კოპაძესთან, მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად გაეცნო.

წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მნათობი - 2013" ახორციელებს.

პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 135 450 ლარია.

მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ, წყლის გაზრდილი დებეტით, სოფელ ოკამის მოსახლეობას წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდება.

რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით

სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მეორე ფენის დაგების სამუშაოები დასრულდა.

1 243 გრძივი მეტრი გზის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ქვენიფლენი" ახორციელებს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 594 999 ლარია. სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, აღდგენილი გზით სოფელი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო ჩქაროსნულ მაგისტრალს უკავშირდება.

საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი დაიწყო. აღსაზრდელებს და პედაგოგებს ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა მიულოცეს.

ვახტანგ მაისურაძის განცხადებით საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი ორგანიზებულად დაიწყო და ბავშვებს ახალ სასწავლო წელს ყველგან არაჩვეულებრივი გარემო დახვდათ. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ხელშეწყობა და პატარა აღსაზრდელების განვითარებაზე ზრუნვაა. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, აშენდა ახალი და სრულად რეაბილიტირდა საბავშვო ბაღები, მოეწყო გასართობი სივრცეები. მიმდინარე წელს დაგეგმილია 8 საბავშვო ბაღის მშენებლობა და ამ კუთხით გვაქვს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია

სოფელ ზემო ხანდაკში მუსიკალური სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და მერის მოადგილეები ადგილზე გაეცნენ.

პროექტი ითვალისწინებს მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების, ელექტროგაყვანილობის სისტემის, მაღალხარისხიანი ლამინირებული იატაკის, ოთახების ჭერის თაბაშირ-მუყაოს ფილებით მოწყობასა და შენობის შიდა და გარე ფასადის შეღებვას.

შენობაში უკვე შეიცვალა კარ - ფანჯრები, ამჟამად კი კედლების ლესვითი და ჭერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მშენებელი - 2013" ახორციელებს, რომლის ღირებულება 58 386 ლარია და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სამუსიკო სკოლაში, გარდა მუსიკისა, ბავშვები სახვით ხელოვნებასაც სწავლობენ.

წლებია სკოლას რეაბილიტაცია არ ჩასტარებია, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი ბავშვები და პედაგოგები განახლებულ შენობაში გააგრძელებენ სასწავლო პროცესს.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო„

კასპის მუნიციპალიტეტი შეუერთდა კამპანიას "დავასუფთაოთ მსოფლიო", რომელიც 15, 16, 17 სექტემბერს ტარდება საქართველოში.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა და მერიის ა(ა)იპ-ის თანამშრომლებმა კამპანიის ფარგლებში კასპში შემოსასვლელი ტერიტორია დაასუფთავეს.

საქართველოში კამპანია "დავასუფთაოთ მსოფლიო" ტარდება 2010 წლიდან საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ინიციატივით.

კასპის მუნიციპალიტეტი წლებია "დავას უ ფ თ ა ო თ მსოფლიოს"კამპანიაში სისტემატურ მონაწილეობას ღებულობს.

კამპანია "დავასუფთაოთ მსოფლიო" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოს დაცვის ღონისძიებაა და მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, გარემოს დაცვითი უნარჩვევების გამომუშავებას, ნარჩენების რუკების შედგენას, ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებას.

ნარჩენების გატანა ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობამ" უზრუნველყო.

მადლობა ამაგდარს

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, კასპის ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის ყოფილ მენეჯერს ავთანდილ ჯალალს მადლობის სიგელი გადასცა. ავთანდილ ჯალალი ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელია, შემდეგში კი წარმატებული მწვრთნელი.

კასპში ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა 1987 წელს გაიხსნა, რომელსაც 36 წელი ავთანდილ ჯალალი უცვლელად ხელმძღვანელობდა. წლების განმავლობაში ის წარმატებით უძღვებოდა კასპში ფეხბურთის განვითარებას.

საუკეთესო პედაგოგმა მრავალი თაობა აღზარდა და მათგან ბევრი ქვეყნის გარეთ, სხვადასხვა ქვეყნის მნიშვნელოვანი გუნდის წევრი გახდა.

კასპის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის ამაგდარ პედაგოგს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას უსურვებს, ხოლო ახალ მენეჯერს ბექა დაბრუნდაშვილს ტრადიციის წარმატებით გაგრძელებას.

გახლით ჩვენი მკითხველი!
გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!

არჩევანი თქვენ!

პირველ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის შუალედური და მერის რიგგარეშე არჩევნები გაიმართება. ამომრჩევლები პირველ ოქტომბერს აირჩევენ საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარ დეპუტატს. გურჯაანში კი ჩატარდება მერის რიგგარეშე არჩევნები. ეს არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან, გარდა იმისა, რომ ამომრჩევლები შეძლებენ აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში თუ თვითმმართველობის ორგანოში, ამას გააკეთებენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

2024 წელს პარლამენტის არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველთა 90% ხმის მიცემას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს და ეს საქართველოში არჩევნებზე ტექნოლოგიების ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოყენების პირველი პრეცედენტი იქნება.

პირველ ოქტომბერს ამომრჩეველთა 85,3%-ს ექნება შესაძლებლობა, თავად ნახოს, თუ როგორ მუშაობს ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიები. არჩევნებისთვის 133 საარჩევნო უბანი გაიხსნება.

ცესკოს გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის და ხმის დათვლის აპარატების გამოყენებით კენჭისყრა 103 საარჩევნო უბანზე ჩატარდება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა არ ნიშნავს იმას, რომ ხმის მიცემა სახლიდან, საკუთარი მოწყობილობიდან იქნება შესაძლებელი. ამომრჩეველი არჩევანის გასაკეთებლად აუცილებლად უნდა მივიდეს საარჩევნო უბანზე ან შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს გადასატანი ყუთი. გამოყენებული იქნება ორი ტიპის ტექნოლოგია, მათ შორის, როგორც ამომრჩეველთა რეგისტრაცია/ვერიფიკაციის აპატარები, ისე ხმის დათვლის აპარატები. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ შემთხვევაში აპარატები არ იქნება ქსელში ანუ ინტერნეტში ჩართული, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს კიბერჩარევის საფრთხეს. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩევლის მონაცემებს რეგისტრატორი ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს. აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის აპარატში მხოლოდ იმ კონკრეტული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა

(დასასრული გვ7.)

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

სასწავლო წლის პირველ დღეს, 15 სექტემბერს ქასპის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ვახტანგ მაისურაძემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ქალბატონმა ნათია ილურიძემ სსიპ ქალაქ ქასპის 1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ქალბატონ მარინა მენაბდიშვილს საზეიმო ვითარებაში გადასცეს საქართველოს დამსახურებული პედაგოგის სერტიფიკატი და სამკერდე ნიშანი.

მასწავლებელი

მასწავლებელი ყველაზე გვიან იღებს თავისი შრომის შედეგს. მისი ზრუნვა და თავდადება წლებში გაფანტული ყოველდღიურობის თანამგზავრია. შეიძლება თაობები გაზარდოს, ერთგულებად, გარჯად, შრომად გადაეგოს და მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მიიღოს კუთვნილი დაფასება... მაგრამ ეს ალბათ ისაა, რასაც ყველაზე ნაკლებად ელიან ჩვენი მასწავლებლები, ადამიანები, რომელთა წინაშე მათი აღზრდილი პროფესორებიც კი მდაბლად ხრიან თავს.

✦ ვის დაუწერა უმაღლესი შეფასება მზექალა შანიძემ?

ვისაც საკუთარ თავზე არ განუცდია მისაღები გამოცდების სუსხი, ვისაც უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ადულებამდე თბილი წყლით არ "მოუკლავს" წყურვილი, ვისაც გული არ ჩაჰქანებია ნიშნების გამოცხადების წინ მიკროფონის ჩართვის ხმაზე, სრული სიცხადით ვერ იგრძნობს ქვემოთ ნათქვამის მუხტს. თუმცა, ისიც ფაქტია, ყველა თაობას თავისი რუბიკონი აქვს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას.

სამოცდაათიანი წლების აბიტურიენტებს კარგად მოეხსენებათ, როგორ შიშის ზარს სცემდა ყველას მზექალა შანიძის სახელი.

ჰუმანიტართა ქართული ენის კომისიის თავმჯდომარის ვინაობა ყველას პირზე ეკერა და ცნობიერად თუ არაცნობიერად თავს აგუებდა, რომ საოცნებო "ფრიადამდე" გზა შესამჩნევად გრძელდებოდა.

ეს ამბავი არც თავად ქალბატონი მზექალასათვის იყო დაფარული.

აბიტურიენტებამდე კი სარწმუნო წყაროებს მიჰქონდათ ინფორმაცია, რომ აკაკი შანიძის ქალიშვილი ერთობ მშვიდად აცხადებდა: - "ქართულში "ხუთი" მამაჩემს ეკუთვნის, მე "ოთხი", აბიტურიენტებს კი ... "

აქ ყველა თავისი ფანტაზიის შესაბამისად ინუგეშებდა თავს და იყოფოდა აბიტურიენტთა ცხოვრება მისაღებ გამოცდებამდე და შემდეგ...

1975 წლის აგვისტოს ხვატში ჩვენს ქალაქში ერთი მოულოდნელი ამბავი გავრცელდა.

კასპის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მარინა მენაბდიშვილმა ქართულში, ზეპირ გამოცდაში ხუთი მიიღო.

მაშინ უმაღლესი შეფასების დაწერის უფლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა და რადგან საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეს გაცნობიერებული ჰქონდა, ყველა ერთს კითხულობდა — მზექალა შანიძემ 5 დაწერა?

დიახ, ბატონებო, დაწერა! თანაც იცოდა რა, რომ ეს ფაქტი უდიდეს გაოცებას გამოიწვევდა, მარინას უთხრა, წადი და გააგებინე ყველას, რომ მზექალა შანიძემ ხუთის დაწერაც იცისო!

მარინა მენაბდიშვილის ხუთიანი ვის გაუკვირდებოდა, უბრალოდ სიხარულს ის აორმაგებდა, რომ იმ მისაღებ გამოცდებზე ასეთი არ მომხდარა. არ ვიცი მაშინ რას გძნობდნენ მარინა მენაბდიშვილის მასწავლებლები მანია ელისაბედაშვილი და თამარ მერებაშვილი თუმცა კარგად მოგვეხსენება მოსწავლის წარმატება მასწავლებლის დაფასების ერთადერთი უტყუარი საშუალებაა.

მახსოვს, მაშინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები როგორ შევყურებდით ანიკო ეძგვერაძეს. მან კი ჩვეული სიმშვიდით გვითხრა: — "შეუძლებელი არაფერია, იყავით ისეთი, როგორიც მარინაა და თქვენც დაგიწერენ ხუთს".

და მას შემდეგ, ქართულში მეცადინეობის ახალი რეჟიმი დამკვიდრდა. მარინას მიღწევა ახალი ათვლის

წერტილი გახდა. ყველა ოცნებობდა მისი "შედეგის" გამეორებას, გულში კი გვიხაროდა, "შეუძლებელი არაფერია!"

✦ 2005 წელს...

ყველაზე ბეჯითი მოსწავლეებიც კი დუმდნენ გამოუცნობი, პირველად ჩატარებული ეროვნული გამოცდების მოლოდინში.

აკი აბიტურიენტებს ტელევიზიდანაც ამხნევებდნენ — მართალია, რთული მარათონი გელით, მაგრამ თავი იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ თქვენ პირველები ხართო.

ასეთ რეალობაში, ყველაზე თამამ ფანტაზიებშიც კი ვერ წარმოიდგენდა მარინა მენაბდიშვილის აღზრდილი პირველი საშუალო სკოლის (ისევ პირველი საშუალოს) კურსდამთავრებული — ანა გოჭაშვილი, რომ ის იქნებოდა მთელს რესპუბლიკაში ერთადერთი, ვინც ქართულის გამოცდაში უმაღლეს შეფასებას მიიღებდა, ანუ საოცნებო 100 ქულას დააგროვებდა.

სექტემბრის დასაწყისში, გამოცდების დასრულების შემდეგ, კასპში ჩამოსულმა განათლების მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, კასპის რაიონიდან იმიტომ დაიწყო სერტიფიკატების გადაცემა, რომ ანა გოჭაშვილის მიღწევის მთავარი სულისჩამდგმელისათვის — პედაგოგ მარინა მენაბდიშვილისათვის პირადად მიელოცა წარმატება და პრეზიდენტთან შეხვედრაზე მიეწვია.

მარინა მენაბდიშვილმა კიდევ ერთხელ აალაპარაკა კასპი და წარმატება გასცდა მშობლიური ქალაქის საზღვრებს.

ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კომენტარი არ სჭირდება. თავად მარინა მასწავლებელმა კი მინისტრს მოახსენა — განსაკუთრებით გახარებული არა ვარ, როგორ შეიძლება მშობლიური ენის გამოცდაზე მხოლოდ ერთს დაეგროვებინა 100 ქულაო.

სხვას იქნებ სხვანაირად შეეფერებინა, მაგრამ როცა სახელმწიფოებრივი აზროვნება გაქვს, სამშობლოსათვის ფიქრი მხოლოდ პათეტიკურ წუთებში არ გახასიათებს. მარინა კი სწორედ ასეთი ქართველი გახლავთ.

✦ საქვეყნოდ ნათქვამი მადლობის ფონზე

შემთხვევით არაფერი ხდება, აუცილებელი გამარჯვებებიც არსებობს.

ჩვენმა პატარა ქალაქმა თუ მოახერხა ორჯერ, ურთულეს რეალობაში, სასიამოვნოდ გაეოცებინა ქართული უმაღლესი სკოლის პროფესორები, ეს შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. პროვინციული ქალაქი ეძახე შენ და როგორი ძლიერი ყოფილა ქართული ენისა და ლიტერატურის სკოლა ჩვენთან. მარინა მენაბდიშვილმა მესამედ აალაპარაკა ქალაქი.

ღრმად მჯერა, ადამიანის სულიერების გადარჩენა, მისი ერისკაცად ჩამოყალიბება ნამდვილი მასწავლებელი-მოძღვრის გარეშე შეუძლებელია.

წლების კვალდაკვალ

სოფელ ქვემო გომში საბავშვო ბაღი 1977 წლის პირველ აპრილს გაიხსნა. ანუ, მისი არსებობა 46 წელს მოიცავს. საინტერესო თანხვედრაა წლების გადანაწილების მიხედვით: 23 წელი – გასულის კუთვნილებაა, ზუსტად ამდენივე – მიმდინარე საუკუნისა.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ორ წერილს. მათი ავტორები არიან ბაღის პირველი და ამჟამინდელი გამგეები: ნანული გუგულაშვილი, რომელიც 1977 წლის მარტიდან 2002 წლამდე გამგეობდა, და ელიზა ბიძინაშვილი, რომელიც 2013 წელს დაინიშნა გამგედ. ესაა მათი თვალით დანახული, შემონახული, ქაღალდზე გადმოტანილი ბაღის ისტორია და მოიცავს იმ თანაბარ პერიოდებს, ზემოთ რომ ხაზი გაესვა.

***

მაშ, ასე, ქვემო გომის საბავშვო ბაღის ისტორია (1977–2000 წლები) – ნანული გუგულაშვილი:

სოფელ ქვემო გომში საბავშვო ბაღი გაიხსნა 1977 წლის პირველ აპრილს.

საბავშვო ბაღისათვის საჭირო შენობის ასაგებად თანხა გადმორიცხა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. შენობის აგება დამთავრდა 1975 წელს, მაგრამ ბაღის გახსნა გაჭიანურდა იმასთან დაკავშირებით, რომ აგებული შენობა ვერ აკმაყოფილებდა საბავშვო ბაღის წინაშე მდგარ ამოცანებს.

თემმის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი კობა ტატულაშვილი) აქტიური მხარდაჭერით ბოლოს მაინც გაიხსნა საბავშვო ბაღი. იგი უწყებრივად დაექვემდებარა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და იმყოფებოდა მის ბალანსზე.

საბავშვო ბაღის გახსნის დღისათვის შენობის საბალანსო ღირებულება იყო 39 962 მანეთი, ხოლო საერთო ფართი -371,16 კვადრატული მეტრი. შენობა განკუთვნილია 2 ჯგუფისათვის (50 აღსაზრდელით).

კასპის რაიონის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, თემმის მეურნეობის დირექციამ ბაღი დააკომპლექტა შესაფერისი კადრით, აღმზრდელმასწავლებლებად შეარჩია გამოცდილი პედაგოგები: უფროსი ასაკის (5–6-წლიანები) ჯგუფში აღმზრდელად დაინიშნა ანგელინა მონასელიძე, რომელიც მანამდე კასპის ცემენტის ქარხნის საბავშვო ბაღში მუშაობდა და რაიონში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა, ხოლო უმცროსთა ჯგუფის აღმზრდელობა დაევალა, ასევე, გამოცდილ პედაგოგს, ტერეზია ჯლანტიაშვილს. ტექნიკური პერსონალიც შესაფერისი კადრით შეივსო.

აღსანიშნავია, რომ 15 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღში არ მომხდარა საკადრო ცვლილებები. პედაგოგები და ტექპერსონალი შეთანხმებულად, ენერგიულად შრომობდნენ და კარგად ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. ბაღში არც რაიმე დარღვევები მომხდარა.

ჩვენი ბაღის არსებობის მანძილზე, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, მეთოდურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას გვიწევდა კასპის რაიონის განათლების განყოფილება (სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი, ქალბატონი ჟუჟუნა ჩიტიშვილი). ბაღი აქტიურად მონაწილეობდა განყოფილების მიერ დაგეგმილ და ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში.

1987 წელს ბაღმა იზეიმა თავისი არსებობის 10-წლისთავი და პირველი "მრგვალი" თარიღი აღნიშნა მხატვრული დილით.

ყოველივე ამის პარალელურად, ადგილობრივი მეურნეობის დირექციის დახმარებით, სოფლის ხელმძღვანელების ენთუზიაზმითა და თვითონ საბავშვო ბაღის კოლექტივის მონდომებით, არსებული შენობა მოწესრიგდა, კერძოდ: შეკეთდა ელექტროგაყვანილობა, შემოყვანილია სასმელი წყლის ქსელი, შეძენილია ე. წ. მაგარი და რბილი ინვენტარი, სასწავლო მასალა, სააღმზრდელო საშუალებები, სათამაშოები.

გარკვეული დროის შემდეგ, თემმის საბჭოთა მეურნეობის გაყოფასთან დაკავშირებით, საბავშვო ბაღი გადაეცა ახალშექმნილ ქვემო გომის მეურნეობას, როგორც სოფლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტი. ახალმა მეურნეობამ (დირექტორი ომარ ტატუნაშვილი) საბავშვო ბაღს შეუძინა და დაუმონტაჟა ეზოს დანადგარები. დღის წესრიგში დადგა შენობის კაპიტალური შეკეთების საკითხი, მაგრამ რესპუბლიკაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა ჩვენს ბაღზეც იქონია უარყოფითი გავლენა. ამას ისიც დაემატა, რომ მოხდა ქვემო გომის მეურნეობის რეორგანიზაცია და მის ნაცვლად შექმნილ საიჯარო შპს-ს დაეკისრა საბავშვო ბაღის შენახვა. იმის გამო, რომ ახალი საზოგადოება ვერ უზრუნველყოფდა ბაღის დაფინანსებას, ამ უკანასკნელის არსებობას საფრთხე დაემუქრა.

აი, ასეთი სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, ბაღი მაინც ფუნქციონირებდა, თუმცა, ახლა უკვე ერთი ჯგუფით.

1997 წლის 21 სექტემბერს, კასპის რაიონის გამგეობის დადგენილების საფუძველზე, ქვემო გომის საბავშვო ბაღი აყვანილი იქნა საქართველოს განათლების სამინისტროს ბალანსზე და იმავე წლის პირველი ოქტომბრიდან ბაღმა მუშაობა განაახლა (ამჟამად ბაღში ფუნქციონირებს ერთი ჯგუფი, მასში ირიცხება 10 აღსაზრდელი).

1977 წლის 25 მარტიდან დღემდე საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობს პროფესიით პედაგოგი ნანული გუგულაშვილი. აღმზრდელ-მასწავლებლად მუშაობს ზოია მჭედლიშვილი. პატარების აღზრდის საქმეს ემსახურებიან: აღმზრდელის თანაშემწე ელიზა ბიძინაშვილი, მზარეული თამარ ბიძინაშვილი, მრეცხავი მალინა მამულაშვილი, აღმზრდელები: ანგელინა მჭედლიშვილი, ტერეზია ჯლანტიაშვილი და რუიზან რევაზიშვილი.

მიუხედავად რთული პირობებისა, საბავშვო ბაღი ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. მისი თანამშრომლები კვლავაც ჩვეული ენერგიით მოეკიდებიან ნორჩი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს.

***

ქვემო გომის საბავშვო ბაღის ისტორია (2000–2023 წლები) – ელიზა ბიძინაშვილი:

2002 წლიდან, ჯანმრთელობის გაუარესების გამო საბავშვო ბაღის გამგემ ნანული გუგულაშვილმა და აღმზრდელმა ზოია მჭედლიშვილმა დატოვეს სამსახური. მათ ნაცვლად დაინიშნენ: გამგედ მაია სოლომანაშვილი, ხოლო აღმზრდელად ელიზა ბიძინაშვილი. აი, ამ პერიოდის თანამშრომლები: მუსიკის პედაგოგი ა. ტატანაშვილი, ძიძა ც. გიქორაშვილი, მზარეული თ. ბიძინაშვილი, დარაჯი ვ. ხითარიძე.

ახალი საუკუნის დამდეგიდანაც არ გვილხინდა, მაგრამ, გაჭირვებული წლების მიუხედავად, ბაღი ისევ ფუნქციონირებდა და ეს ხდებოდა მშობლების შემოწირულობების ხარჯზე. საერთო მდგომარეობა თითქოს უმჯობესდებოდა, მაგრამ შემდეგ იყო 2008 წლის ომი და... ჩვენი ბაღი მთლიანად გადაკეთდა, რათა შიგ ლტოლვილები ჩაესახლებინათ. კიდევ კარგი, მათი ჩამოსახლება არ მოხდა და ბაღმა გააგრძელა პროფილური საქმიანობა ახალ და გაუმჯობესებულ, თუმცა, არასტანდარტულ გარემოში (ისევ ერთი ჯგუფით).

2012 წლის შემდეგ, რაც მართალია, მართალია, "ოცნების" სახელისუფლებო პირობებში, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საბავშვო ბაღებს. კასპის მუნიციპალიტეტშიც სკოლამდელი დაწესებულებები ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და განუწყვეტლივ მიმდინარეობს ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობაზე, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაზე.

2014 წლიდან მეორე ჯგუფი დაგვემატა. ჩვენთან სადღეისოდაც ორი ჯგუფია, სულ 41 ბავშვის რაოდენობით.

2017 წელს ბაღის შენობას ჩაუ

დასასრული გვ7.

მომღერალი ოჯახები

ზაზა ზაალიშვილი

ქართული რეალობიდან რამდენი მაგალითის მოხმობა შეიძლება, როცა გამოჩენილი მამის (მწერლის, მხატვრის, ექიმის, სპორტსმენის...) შვილი ოდნავ ვერ მიახლოებია თავისი საქმითა და ღვაწლით მამისეული სახელის დონეს, ნიშას, თამასას და, მართლაც, მშობლის "ჩრდილში" დარჩენილა, ვერ მიახლოებია და გატოლებია, თუმცა უცდია, ცხადია.

უფროსმა ზაალიშვილმა საქართველოს მასშტაბით გააწვდინა ქართული ხმის ტემბრი, უმცროსმა კი მეტად ფართო გეოგრაფიული სივრცე გაითავისა და მოხიბლა საკუთარი საშემსრულებლო ოსტატობით.

... მამა-შვილი ზაალიშვილების შემთხვევაში, დასტურ, დადებითი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით. ნუ მოგვერიდება და შეგვაკრთობს ამისი აღიარება. მერე რა, რომ ჩვენი საზოგადოება მამას უფრო მეტად იცნობს, ვიდრე ვაჟიშვილს.

აი, ერთი საგაზეთო წარდგინება, როგორადაც მამა-შვილის ერთობლივი "პორტრეტი" მიაწოდა "ახალმა განთიადმა" სულ ახლახან, წლევანდელ მაისში, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების გამოშვებაში (პუბლიკაციაში "კასპელი მომღერალი ოჯახები"):

"ზაალიშვილები – ქართველი უდიდესი მომღერალი თენგიზ ზაალიშვილი არა მარტო კასპელების სიამაყეა. მას წლევანდელ სექტემბერში დაბადებიდან 95-ე წლისთავი შეუსრულდება. მშობლიური ქალაქი და რაიონი მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებს სახელოვან შვილს. მისი დაბადების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე სწორედ კასპში აღინიშნა. აქვე გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი – პირველად საქართველოში (2016 წელს).... ახლა, ასაკის კვალობაზე, პირადად ვერ მოახერხა კასპში ჩამობრძანება და ეს მისია ვაჟიშვილს დაავალა.

კასპელთა წინაშე წარმოდგა ზაზა ზაალიშვილი – მსოფლიო დონის პროფესიონალი მომღერალი (დრამატული ტენორი), ქ. მონრეალის (კანადა) თეატრის წამყვანი ყოფილი სოლისტი ვირტუოზი გიტარისტი".

... დიახ, ასეა, 2023 წლის 2 სექტემბერს თენგიზ ზაალიშვილი 95 წლის მოიყარა. ეს სოლიდური ასაკია ხელოვანი ადამიანისათვის. როგორც მაშინ, მაისის კონცერტისას გაცხადდა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, კულტურის მესვეურები, აქაური მუსიკალური საზოგადოება გეგმავდა ამ თარიღის აღნიშვნას მისთვის მორიგი პატივგების ნიშნად... მაგრამ, წლევანდელ შემოდგომაზე ეს ვეღარ მოხდება. არა, მომღერლის ბერიკაცობა არაფერ შუაშია, საქმე ისაა, რომ სულ ორიოდე თვის შემდეგ, რაც კასპში სტუმრობდა უმცროსი ზაალიშვილი, ივლისში 63 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მაისში ზაზა ზაალიშვილის გამოსვლა კასპის კულტურის ცენტრის სცენაზე, აქაური პატივისმცემელი პუბლიკის წინაშე, უკანასკნელი გამოდგა მის ხანგრძლივ მუსიკალურ მოღვაწეობაში, გნებავთ, ერთგვარი "გედის სიმღერაც", ანუ, სიმბოლური გამომშვიდობება ქართველ მსმენელთანა და მაყურებელთან... ჰო, ჯანი მაისშიც უჭირდა, ახალგადატანილი ინსულტი ხშირად შეახსენებდა ხოლმე თავს, კასპის სცენაზე რამდენიმე საფეხურიც მეგობრის დახმარებით აიარა, თუმცა მერე, გიტარის სიმები რომ მოსინჯა თითებით, მოკეთდა, გამოიხედა თვალებში და... მაესტრომ ისევ მძლავრად გახედა დარბაზს, ისევ მონუსხა მაყურებელი... მახლას, თურმე, უკანასკნელად!.. თურმე ივლისში გული უღალატებდა, ქირურგიულ ოპერაციას ჩაუტარებდნენ, დასტაქრები ყველაფერს შეეცდებოდნენ, უკვე პალატაშიც გადაიყვანდნენ და იქ, პალატის კართან, ვერაგი თრომბი დაუდარაჯდებოდა...

ასე და ამგვარად, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩაიშლებოდა ჩვენი შეთანხმება და ვერ შედგებოდა შეხვედრა თბილისში, სწორედაც სასექტემბრო ინტერვიუსათვის, უბის წიგნაკში ჩაწერილი მობილურის ნომერზეც ვეღარ დავრეკავდით... და, მაინც, სექტემბერში ეს სტრიქონები უნდა დაწერილიყო. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ აუცილებლად! ცხოვრებაში ხომ ისედაც ხშირად ვაგვიანებთ და მერე ვნანობთ!

***

ახლა კი თხრობის მიმართულებას შევცვლით და საუბარს გააგრძელებენ მამა-შვილი ზაალიშვილების მცნობი კასპელი მეგობრები:

ზაზა მენაბდიშვილი – პროფესიონალი მომღერალი, ლოტბარი, პედაგოგი:

– პირველ რიგში ზაზა ზაალიშვილის ფსევდონიმის თაობაზე ვიტყვი რამდენიმე სიტყვას: "ფრანკო ტენელი" – უცხოეთის მუსიკალურ წრეებში აკი ამ სახელით იცნობდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად იტალიაში) "ზაზა" ქალის სახელი ყოფილა და როცა აცხადებდნენ, – ზაზა ზაალიშვილი მღერისო! და სცენაზე ქალი მომღერლის ნაცვლად მამაკაცი გამოჩნდებოდა, დარბაზს თურმე უხერხული ჩურჩულის ტალღა ფარავდა. ამიტომ ზაზამ ორიგინალურ გამოსავალს მიაგნო, მშობლების სახელებს (თენგიზი და ნელი) მიანიჭა უცხოური ჟღერადობა. ასე იყო ეს...

ახალგაზრდობაშივე, გაიტაცა ზაზა გიტარისტობამ. ჯერაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა, ჯადოსნურ გიტარას რომ დაუმეგობრდა, უკვე სტუდენტობისას ჩამოყალიბდა, როგორც გიტარის ვირტუოზი შემსრულებელი, სხვადასხვა ჯგუფშიც უკრავდა და სოლო კონცერტებითაც გამოდიოდა. შემდეგ მასში მშობლების გენმა იმძლავრა და მათი გავლენით იყო, რომ კონსერვატორიაში ჩააბარა ვოკალის ფაკულტეტზე, აქ კი პროფესორ ნოდარ ანდღულაძის კლასში აღმოჩნდა და მისი რჩეული სტუდენტი გახდა.

ზაალიშვილების გვარის კაცები სოფელ იგოეთში სახლობდნენ. ამ გვარმა რამდენიმე გამოჩენილი ადამიანი შემატა საქართველოს გონიერ სიმდიდრეს (მათ შორის – პირველი ქართული საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოების ავტორი მიხეილ ზაალიშვილი (1865–1920)... ესენი, მომღერალი ზაალიშვილები როცა კასპში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, თენგიზი კასპის პირველი სკოლის მოსწავლე გახდა. აი, იქიდან დამეგობრდნენ ჩემი თაობის ბიჭების მამები. აი, მათი სამეგობრო წრის კასპელი ნაღდი კაცები: თენგიზ ზაალიშვილი, ალექსანდრე მენაბდიშვილი, ნიკოლოზ კლიმიაშვილი, გივი კიკაჩეიშვილი, ლევან მესროფაშვილი, ვლადიმერ მერებაშვილი.

მამების ურთიერთობანი იმდენად მისაბაძი და ანდამატური აღმოჩნდა შვილებისათვის, რომ ახლა ჩვენ შორის გაგრძელდა, როგორც ცხოვრების ერთი, დიდი და დაუსრულებელი გაკვეთილი. საინტერესოა, რომ სამეგობრო ესტაფეტა ერთბაშად 4-მა ზაზამ მივიღეთ: ზაზა ზაალიშვილმა, ზაზა მენაბდიშვილმა, ზაზა კლიმიაშვილმა და ზაზა მერებაშვილმა. ჩემზე, აბა, რა გითხრათ, საკუთარი საქმე მიყვარს და ეგაა! ზაზა კლიმიაშვილიც და ზაზა მერებაშვილიც თავიანთი საქმეების პროფესიონალები არიან. სხვათა შორის, ეს უკანასკნელიც კანადაში ცხოვრობს და იმ ქვეყნის ცნობილი ფიზიკოსი-მეცნიერია.

ეს ჩვენი მეგობარი ზაზა ზაალიშვილიც კანადის მოქალაქე იყო 22 წლის განმავლობაში. იქიდან 10-ოდე წლის წინ მოტრიალდა, ემიგრანტული ცხოვრება, თუნდაც პროფესიული თვალსაზრისით შემდგარი და წარმატებული, არც მისთვის გამოდგა დალხინებული. მთავარი მოტივაცია კი მისთვის მოდიოდა ქართველკაცობიდან. იქიდან, რომ ასაკოვანი მამისათვის

ყოფა შეემსუბუქებინა და ხანდაზმულობაში მის გვერდით ყოფილიყო...

თბილისში, მუსიკალური წრეების მეგობრებისაგან გამიგონია და პირადადაც მიმაჩნია, რომ თენგიზ ზაალიშვილი მოიაზრება დიდი ვანო სარაჯიშვილის ღირსეულ მემკვიდრედ. ზაალიშვილისეული ქართული ხმის ტემბრი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, ამიტომაც მას აღმატებული ნოტით მიუბოძეს ეპითეტი "საქართველოს ბულბული".

ჩვენთვის, ზაალიშვილების თანამემამულეებისათვის, ნამდვილად, საამაყოა, რომ ვაჟიშვილმა, რომელიც უფრო დრამატული ტენორი იყო, მსოფლიო მასშტაბით შეძლო დიდი აღიარების მოპოვება.

***

ლევან მესროფაშვილი – ახლო მეგობარი:

– ზაზა ზაალიშვილი, იგივე ფრანკო ტენელი, როგორც მას კანადაში იცნობდნენ, მამაჩემის ნათლული იყო. ასევე, ჩემი ძალიან ახლო მეგობარი.

ჩვენი მამები კლასელები იყვნენ. ამიტომაც მამისაგან ხშირად მესმოდა ზაზაზე საუბარი. და, მაინც, ამის მიუხედავად, საქართველოში დაბრუნებამდე მას პირადად არ ვიცნობდი. საქართველოდან როცა წავიდა (გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში), მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და არ მახსოვდა. დაბრუნებით კი 2014 თუ 2015 წელს მოტრიალდა და ჩვენ მალე შევხვდით ერთმანეთს, მალე გავუგეთ ურთიერთს. "უმცროს ძმას" მეძახდა და ისე მექცეოდა, როგორც პატარა მეგობარს.

თბილისის ოპერაში მის სპექტაკლებს ვესწრებოდით მთელი ოჯახი. ისიც გავიგე, რომ ერთ-ერთ აქაურ ბენდში უკრავდა. ორ თანამოაზრეს შორის, ხშირი და ხანგრძლივი **დასასრული გვ7.**

კავთისხევი: აფციაურის ხსოვნის მემორიალი — პირველი რესპუბლიკური

კავთურისხევლებმა 2014 წლის აგვისტოს ბოლოს ახალი საჭიდაო არენა ჩაიბარეს და გამოსცადეს კიდეც. მას იქაური მოჭიდავის ვალერიან (ვალიკო) იაშვილის სახელი უწოდეს, მაგრამ ამით, ფაქტიურად და სიმბოლურადაც, პატივი მიაგეს ყველა გარდაცვლილი იქაური მოჭიდავის ხსოვნას. მათ რიგებს კი, განვლილი 9 წლის განმავლობაში, სხვებიც შეემატნენ, მაგალითად, შარშანდელ სექტემბერში სამზეოდან 40 წლის ასაკში გასული მინდია აფციაური (01.09.1982 – 30.09.2022).

ამა წლის 30 აგვისტოს მისმა ოჯახმა და დიდმა სამეგობრო წრემ, ამ თარიღთან დაკავშირებით გარდაცვლილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური პირველი მემორიალური ტურნირი ჩაატარა ქართულ ჭიდაობაში (მოზრდილებისათვის). ერთი კონკრეტული ოჯახის ინიციატივითა და ენთუზიაზმით გამართული საჭიდაო ტურნირები ჩვენში არც თუ ხშირია, ამიტომ იყო, რომ სურვილით გაჯერებულ წამოწყებას საქმიანი მხარდაჭერა აღმოუჩინა კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებამ (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი – შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი იოსებ მამულაშვილი).

ტურნირში 62 მოჭიდავე მონაწილეობდა საქართველოს 9 ქალაქიდან (კასპი, თბილისი, გორი, ქარელი, რუსთავი, მცხეთა, ლენტეხი, ახალციხე, ოზურგეთი). ორგანიზატორთა თქმით, იგი ყოველწლიურად გაიმართება, გახდება ტრადიციული და შეიძენს მეტ მასშტაბს. მარტო ეს კი არა, კავთისხევში ახალი საჭიდაო აიგება და მას მინდია აფციაურის სახელი მიეკუთვნებაო, – პირობა წინასწარ გააცხადეს მათ. დაე, სამომავლოში მერმისმა იცოდეს, ამას კი, პირველ და სადებიუტო შეჯიბრებას, არც წუნი დაედებოდა და არც ზადი მოეძებნებოდა.

უნდა წარმოგიდგინოთ აფციაურის პირველი მემორიალის საუკეთესო 15-ეულის ვინაობა, ანუ, 5-ვე წონითი კატეგორიის ჩემპიონები და მეორე-მესამე ადგილებზე გასული მოჭიდავეები:

60 კგ.: 1. გეგა ამირხანაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი ჩანქსელიანი (ლენტეხი), 3. გიორგი ინაშვილი (გორი);

70 კგ.: 1. გურამ გასიტაშვილი (გორი), 2. ელგუჯა ბარბაქაძე (რუსთავი), 3. გიორგი ლურსმანაშვილი (ქარელი);

80 კგ.: 1. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 2. გიორგი ჭიღლაძე (გორი), 3. გიგა მაისურაძე (ქარელი);

90 კგ.: 1. ბაქარ ერაშვილი (კასპი), 2. გიორგი ხმალაძე (ქარელი), 3. ნიკა სიდამონიძე (ქარელი);

+90 კგ. (აბსოლუტური პირველობა): 1. ნიკა სიდამონიძე (ქარელი), 2. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 3. ლაშა მღებრიშვილი (გორი).

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ჯილდოდ გადაეცათ ოჯახის მიერ დაწესებული ფულადი პრიზები (შესაბამისად, 500, 300 და 200 ლარი).

ტურნირის დებულებით გათვალისწინებული თანხა 60 და 70 კგ-ის ჩემპიონებს გადაეცათ კავთისხეველი ვეტერანი მოჭიდავის, ჰამლეტ წიკლაურისა და ოჯახის სიძის, შალვა ქამხაძის ხელით, ხოლო დამატებით დააჯილდოვა მეგობარმა გიორგი აღაპიშვილმა 80-ის გამარჯვებული, ასევე, თანხით დამატებით წაახალისა მინდია აფციაურის ცოლისძმამ ერეკლე ტიგინაშვილმა, ხოლო სპეციალური პრიზით – ნათლულმა, კასპელმა წარმატებულმა კარატისტმა ქალიშვილმა მარიამ მანძულაშვილმა.

აბსოლუტურ წონაში მთავარ პრიზად გათამაშდა მოზვერი. საუკეთესო სამეულის დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ: მინდია აფციაურის მეუღლე ნინო ტიგინაშვილი და 3 წლის ვაჟიშვილი – ვაჩე, ასევე, მეგობრები – გიორგი თაბუნიძე, გურამ როსებიშვილი, კონსტანტინე ნატროშვილი, გიორგი აღაპიშვილი.

მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი

საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის აგვისტოს დასაწყისში, ირაკლი დემეტრაშვილმა იჭიდავა ზაფხულის მსოფლიო საუნივერსიტეტო თამაშებზე, რომელიც ჩატარდა ჩინეთის ქ. ჩენგლუში. მან იქ საპრიზო ადგილი დაიკავა, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დადგა და საქართველოს ნაკრების ყულაბაში "ბრინჯაო" ჩადო.

გადავიანგარიშეთ და ირაკლისთვის ჩინური მედალი მეათეა საერთო სათვალავით, რაც 2018-2023 წლების განმავლობაში დაუმსახურებია მსოფლიო ჩემპიონატებში, ევროპის პირველობებსა და თასის გათამაშებებზე (სულ პირველი ჭიდაობა სამბოში მოიპოვა, შემდეგ ძიუდოზე გადართო და ყველა დანარჩენი – უკვე აქ):

2018: პირველი ადგილი – სადებიუტო შეჯიბრების ჩემპიონობა მსოფლიო პირველობაზე სამბოში (კადეტები, +84 კგ, სერბეთის ქ. ნოვისადი);

2019: მსოფლიო ჩემპიონატი (ჭაბუკები) – პირველი ადგილი (+90 კგ, ქ. ალმატი, ყაზახეთი; ევროპის ჩემპიონატი – მეორე (90), ქ. ვარშავა, პოლონეთი; ევროპის თასი – მესამე (სამივეჯერ): ქ. ანტალია (თურქეთი), ქ. ტეპლიცე (ჩეხეთი) და ქ. ბიელსკო-ბიალა (პოლონეთი);

2020: ევროპის თასი – მეორე (+100, ქ. ვერონე, იტალია);

2021: მსოფლიო ჩემპიონატი (ახალგაზრდები) – მესამე (ქ. ოლბაია, იტალია);

2022: ევროპის ღია პირველობა – პირველი (ქ. სოფია, ბულგარეთი), ევროპის თასი – პირველი (ქ. პოზნანი, პოლონეთი);

2023: საზაფხულო მსოფლიო საუნივერსიტეტო თამაშები (+100 კგ.) – მესამე (ქ. ჩენგლუ, ჩინეთი).

კასპი: გამხიტაშვილის ხსოვნის პირველობა — მსოფლიო ახალგაზრდული შესარჩევი

კასპელ ძიუდოისტთა შორის აქამდე მხოლოდ ერთი გვყავდა ისეთი, მსოფლიო საუნივერსიტეტო უნივერსიადაზე რომ უჭიდავია: ნოდარ ნუგზარიშვილმა ჯერაც გასული საუკუნის 80-ან წლებში ბრაზილიის დედაქალაქში მოიპოვა უნივერსიადის ჩემპიონობა.

და, აი, ჭიდაობის ამ ყველაზე პოპულარული და განვითარებადი სახეობის ისტორიაში კასპელთაგან თავის სახელზე ახალი ფურცელი გადაშალა 21 წლის ირაკლი დემეტრაშვილმა (დაბადებულია 2002 წლის 19 სექტემბერს). მისი მწვრთნელები არიან ნუგზარ მამულაშვილი (კასპში) და ვაჟა ბალხამიშვილი (თბილისში).

ეს პირველობა ტრადიციულია და შემოდგომის დადგომისთანავე, სექტემბერში ტარდება სამბოს ფედერაციის ეგიდით. მისი სტატუსი დიდია, რადგანაც კარსმომდგარი ევროპის ან მსოდლიო პირველობებს პრელუდიად უძღვის (გააჩნია, რომელი ადრე იგეგმება), ანუ, მისი მიზანია ესოდენ პრესტიჟული ჩემპიონატებისათვის მზადყოფნის შემოწმება და ნაკრები გუნდის კანდიდატების გამოვლენა-შერჩევა.

ფედერაცია მას ქ. თბილისში მართავდა ხოლმე, მაგრამ 2018 წლიდან პირველობის ადგილსამყოფელი შეიცვალა და ქ. კასპს დასდო საპატიო მისია – უმასპინძლოს სახელოვანი თანამემამულე მოჭიდავის სახელობის შეჯიბრებას (ეს მოხდა აქაური იმჟამინდელი სპორტის მესვეურების წინადადებით და ფედერაციის თავკაცებიც დათანხმდნენ). ამდენად, ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის პირველობა, ამ კუთხით, ის იშვიათი შეჯიბრებაა, ადგილი რომ შეუცვლია.

ჰოდა, აგერ, 17 სექტემბერს, ქ. კასპის მრავალპროფილურ სასპორტო დარბაზში მთელი საქართველოდან მოიყარეს თავი 2003-2004 წლებში



დაბადებულმა სამბოელებმა და პირველობის დებულებით გათვალისწინებული შვიდი წონითი კატეგორიის მიხედვით გაპაექრდნენ. გამარჯვება, ცხადია, ყველას სურდა, მაგრამ სანუკვარ საგზურს, რომელიც უკვე ოქტომბრის დასაწყისში ყირგიზეთში მსოფლიო პირველობაზე წასვლის უფლებას იძლეოდა, მხოლოდ ისინი დაეუფლნენ, ვისაც მეტი ჟინი და შემართება აღმოაჩნდა.

აი, ისინიც, ვანო გამხიტაშვილის სახელობის 2023 წლის პირველობის გამარჯვებულები: 58 კგ. – ლუკა გადელია (ფოთი), 64 – გუგა ამირხანაშვილი (მცხეთა), 71 – ნიკოლოზ გოგალაძე (ხაშური), 79 – ლუკა წიქვაძე (ქუთაისი), 88 – ბექა ძაგანიშვილი (მცხეთა), 98 – გაბო მუკბანიანი (ზუგდიდი) და მძიმე წონა – ნიკოლოზ ალშიბაია (ზუგდიდი).

(ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ჩემპიონებსა და ყველა პრიზიორს (პირველებს თასებთანა და დანარჩენებს მედლებთან ერთად) გადაეცა შესაბამისი ხარისხის დიპლომები, რომლებიც დადასტურებული იყო კასპის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ მაისურაძის, ხელმოწერით).

– კი, მაგრამ, კასპელები? – მავან ადგილობრივ გულშემატკივარს ასეთი კითხვა თუ გაუჩნდება, ვეტყვით, რომ კასპელმა სამბოს მწვრთნელებმა სამი მოჭიდავე ჩართეს პირველობაში. მათგან უკეთ გამოვიდა 79 კილოგრამის წონით კატეგორიაში მოასპარეზე სოსო ჟივიძე. მან ფინალში გააღწია, თუმცა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ფარხმალი დაყარა მეტოქესთან და მეორე ადგილის ამარა დაგვირჩა. ასე, რომ საკუთარი კედლების უპირატესობა მასპინძლებს ყოველთვის არ აძლევს გამარჯვების შანსს.

,,ახალი განთიადი,, იძლევა საინფორმაციო სერვისებს ჩვენი ინფორმაციული თოფი-მეფეების შესაჯმნელად. თქვენით მივმართავთ თანამოინელებს - ოფლოვით თქვენი ყველა ხვენს მეფეებში! გამოგვიგზავნეთ საინფორმაციო თოფოები!

დასასრული. დასაწყისი იხილეთ გვ3.

სია იქნება ჩატვირთული. ვერიფიკაციის აპარატი იძლევა ორმაგი დადასტურების შესაძლებლობას. კერძოდ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აპარატზე გატარების/შემოწმების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება დოკუმენტის მფლობელის ფოტოსურათი, რის საფუძველზეც დადასტურდება მისი ვინაობა. ამოიბეჭდება შესაბამისი ქვითარი, რომელზეც ამომრჩეველი მოაწერს ხელს.

განსხვავებული იქნება საარჩევნო ბიულეტენიც. ამ შემთხვევაში კი ამომრჩეველმა კი არ უნდა შემოხაზოს სასურველი კანდიდატის ნომერი, არამედ უნდა გააფერადოს კანდიდატის სახელის წინ არსებული წრე. ამასთან, ბიულეტენს აქვს დამატებითი დაცვის შესაძლებლობებიც. ინდივიდუალური კოდი და შტრიხკოდი, რაც გამორიცხავს იმას, რომ სხვა უბნის ბიულეტენი ან იგივე ბიულეტენი განმეორებით მოხვდეს ყუთში.

რა თქმა უნდა, დაცულია ხმის მიცემის ფარულობა. მას შემდეგ, რაც ფარული კენჭისყრის კაბინაში გააფერადებს სასურველი კანდიდატის წინ არსებულ წრეს, ამომრჩეველმა ბიულეტენი უნდა ამოაბრუნოს და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით მოათავსოს ხმის მთვლელ აპარატში. სწორედ ეს აპარატი ავტომატურ რეჟიმში დაითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე დაბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს.

ბიულეტენები ასევე გადაითვლება ხელით და სწორედ ამის შემდეგ შედგება შემაჯამებელი ოქმი.

ძველი წესით არჩევნები ჩატარდება ისეთ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 300-ზე ნაკლებია და 20 კილომეტრზე მეტით არის დაშორებული საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილიდან. აგრეთვე ისეთ უბნებზე, რომლებიც გამონაკლის შემთხვევაში შეიქმნება ან განთავსებული იქნება ძნელად მისადგომ ადგილას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კალანდარიშვილმა აღნიშნა, რომ არჩევნები ამ უბნებზე ტრადიციული მეთოდით ტარდება, არ ნიშნავს რომ რამე ძალისხმევას დავაკლებთ. ამ უბნებზე კენჭისყრა აუცილებლად სათანადო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაიმართება. მით უფრო იმ ფონზე, რომ გარკვეულწილად ეს უბნებიც მოდერნიზებული იქნება და დამატებით გამჭვირვალობის ზრდის მიზნით განხორციელდება ბიულეტენების გაციფრულება და გასაჯაროება.

ვრჩევანი თქვენ!

პირველ ოქტომბერს ავირჩევთ საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარ დეპუტატს.

კენჭს იყრიან:

გიორგი სოსიაშვილი - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო„

მამუკა ტუსკაძე - „ სოციალური სამართლიანობისათვის„

წლების კვალდაკვალ

(დასასრული. დასაწყისი გვ4.)

ტარდა კაპიტალური რემონტი, რის შედეგად მომარაგება ხდება მუდმივი (ცხელი) წყლით, გაუმჯობესდა სამზარეულოს, სამრეცხაოს, ჯგუფური ოთახების, საძინებლებისა და გასახდელების მდგომარეობა, სანიტარული კვანძი აღიჭურვა სათანადო ახალი მოწყობილობით.

2021 წელს ბაღი კიდევ უფრო შეივსო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში შეგვიძინეს დიდი ზომის მაცივარი, ჭურჭლის კარადა და ჭურჭელი, საწოლები, კარადები გასახდელისათვის, გასართობი მოწყობილობები ეზოსათვის.

წარმოგიდგენთ ჩვენს ერთიან გუნდსაც: გამგე ელიზა ბიძინაშვილი (2013 წლიდან), აღმზრდელები: მაია სოლომანაშვილი, ნინო მამულაშვილი და ელეონორა მჭედლიშვილი, მედდა ესმა მჭედლიშვილი, მუსიკის პედაგოგი ნანა კაპანაძე, აღმზრდელის თანაშემწეები ლალი ბიძინაშვილი, მარინე ყორღანაშვილი, ლია არაქელაშვილი, ლალი ხიზანაშვილი, ფსიქოლოგები თეა გორგაძე და მაკა კაციაშვილი, ლოგოპედები ნინო ბარბაქაძე და ინგა ინანაშვილი, დამხმარე მუშა მარინე ნატროშვილი, მზარეული გულნაზი ბიძინაშვილი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენი ბაღის შენობა მაინც ვერ აკმაყოფილებს ბავშვებისათვის საჭირო ფიზიკური გარემოს სტანდარტებს. ამიტომ სულ მალე სოფელში დაიწყება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობა. ეს კი, რა თქმა უნდა, ძალიან გვახარებს.

*** აღმზრდელ-მასწავლებლის პერსონა, როგორც სკოლამდელი აღზრდის სისტემაში საყრდენი ფიგურა, ერთ-ერთი წამყვანია წმინდაკედლებიანი ბაღის გარემოში, როგორც დედისა – სახლისათვის, ოჯახისათვის. შემთხვევითი არაა, რომ ქვემო გომის საბავშვო ბაღის კოლექტივში დღეს ესოდენ საპატიო საქმეს ემსახურებიან აღმზრდელები ნინო მამულაშვილი და ელეონორა მჭედლიშვილი, რომელთა დედები – რუიზან მჭედლიშვილი და ზოია მჭედლიშვილი – გასულ წლებში აქვე მსახურობდნენ ათწლეულების განმავლობაში. ამდენად, საბავშვო ბაღი ისეთი წმინდა ადგილსამყოფელია, რომელსაც დედაშვილობის მადლი მოსავს. ის დალოცვილი სივრცეა, სადაც ქვეყნის ხვალინდელი დღის მასაზრდოებელი პატარა ნაკადულები იღებენ სათავეს.

(დასასრული. დასაწყისი გვ5.)

ურთიერთობის შემდეგ, იდეა გაგვიჩნდა, ერთად შეგვექმნა ახალი ბენდი. ზაზამ გამაცნო თავისი ძველი მეგობრები და გადავწყვიტეთ თანამშრომლობა.

ჩვენი ბენდის შემადგენლობა ასეთი იყო: თემურ ნიკოლაიშვილი – დრამი, ნოდარ ექვთიმიშვილი – ბასი, თავად ზაზა – სოლო გიტარა და თვითონ მე – კლავიში, გიტარა და ვოკალი. ერთი სიტყვით, ჩამოვყალიბდით და შევუდექით საყვარელ საქმიანობას.

რამდენიმე წარმატებული კონცერტის შემდეგ, სამწუხაროდ, ზაზას ინსულტი დაემართა. ამას შემდეგ დაემთხვა პანდემიური პერიოდი, ბოლოს ისევ ზაზას ავადმყოფობა და, აქედან გამომდინარე, აქტიურ მუსიკალურ ცხოვრებას დროებით შევეშვით.

ზაზა ჩემთვის არა მარტო უფროსი მეგობარი იყო, არამედ ჩემი მასწავლებელიც. მასთან ყოველი რეპეტიცია ჩემთვის თავისებურ გაკვეთილსა თუ ლექციას უდრიდა. მამეცადინებდა, შენიშვნებს მაძლევდა, მასწავლიდა, მიხსნიდა, თუ როგორ უნდა დამეწყო სიმღერა და მისამღერის დროს რა და როგორ გამეკეთებინა განსხვავებულად, სიმღერა როგორ დამესრულებინა. სწორედ მან შემასწავლა, როგორ "მემუშავა" მაყურებელზე. მან გამწაფა ისეთ ხერხებში, როგორიცაა: ემოციების სწორად გადანაწილება, მსმენელისადმი მიმართვა და ა. შ. მისგან ძალიან, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ასევე, ხშირად მამეცადინებდა გიტარაზე დაკვრაში. ბევრჯერ ღამით ვუკრავდით ხოლმე – გაუთავებლად, გვიანობამდე, ზოგჯერ გათენებამდეც....

მომღერალი ოჯახები

ზაზა ზაალიშვილი

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ზაზა განათლებული კაცი იყო და ზედმიწევნით ერკვეოდა ზოგადსაკაცობრიო საკითხებში, ფსიქოლოგიაში, ისტორიაში, ლიტერატურაში.

ყოველთვის სასიამოვნო იყო მასთან ურთიერთობა და საუბარი, სამწუხაროა, რომ ვერც თბილისის ოპერამ და ვერც კონსერვატორიამ ზაზა ზაალიშვილის ნიჭი და ტალანტი სათანადოდ ვერ გამოიყენა. კაცი, რომელიც კანადაში კონსერვატორიაში ჯაზს ასწავლიდა და, ასევე, არა ერთი ცნობილი ოპერის მომღერლის პედაგოგი და აღმომჩენი იყო, საკუთარ სამშობლოში დაუფასებელი აღმოჩნდა. ვფიქრობ, რომ მისი გარდაცვალებით საქართველომ და ქართველმა ხალხმა განიცადა უდიდესი დანაკლისი. მე კი, პირადად, დავკარგე საუკეთესო მეგობარი, მასწავლებელი და ოჯახის წევრი.

საფეხბურთო ჭალღაზე ...

● კასპის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლას დაარსების დღიდან – 1987 წლის სექტემბრიდან – სათავეში ედგა ავთანდილ ჯალალი: ვეტერანი ფეხბურთელი, კვალიფიციური მწვრთნელი, ბავშვთა ფეხბურთის ამაგდარი კაცი. ახლახან ცვლილება მოხდა სკოლის ხელმძღვანელობაში: დირექტორობის 36-წლიანი სტაჟის მქონე ავთანდილ ჯალალი ამ პოსტზე შეცვალა ბექა დაბრუნდაშვილმა – ასევე პროფესიონალმა ფეხბურთელმა, ვისაც თავის დროზე არაერთ გუნდში უთამაშია, დღეს კი "კასპი–1936"-ის საფეხბურთო გუნდის კაპიტანია, ვისაც კარგად იცნობენ ქართული ფეხბურთის ფართო წრეში.

● წლევანდელი შუა სექტემბრიდან განახლდა საქართველოს საფეხბურთო პირველობა რეგიონული გათამაშების ლიგა–5-ის "ბ" ჯგუფის გუნდებისათვის. მე-2 წრის პირველი მატჩი "კასპი–1936"-ის გუნდმა (მწვრთნელი გიორგი დაბრუნდაშვილი) 11 სექტემბერს ქ. ხაშურში ჩაატარა ადგილობრივი "ივერიას" წინააღმდეგ.

თამაში მასპინძელთა გამარჯვებით (2:1) დამთავრდა.

კასპელი ფეხბურთელები 11 თამაშის შემდეგ გათამაშების ცხრილში მე-7 პოზიციაზე იმყოფებიან 11-გუნდიან ჯგუფში (3 მოგება, ერთი ფრე, 7 წაგება, 21–28-ზე ბურთების შეფარდება და 10 ქულა).

(კასპელებმა 19 სექტემბერს კვლავ მეტოქის მინდორზე, ქ. თბილისში ითამაშეს თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდთან და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს: 4:0. მასპინძელთა კარში გოლები გაიტანეს: გიორგი უნგიაძემ (ერთი პირველ ტაიმში, პენალტით, მეორე კი უკვე მატჩის დამთავრებისას); ასევე, მიხეილ მუმლაურმა (მეორე ტაიმის განახლებიდან 10-ოდე წუთში გაზარდა ანგარიში) და ზეზვა გოჭოშვილმა (სადებიუტო თამაში მან გოლით აღნიშნა).

● მე-2 წრის თამაშები განაახლა, ასევე, საქართველოს "მასტერლიგა–3"-ის პირველობაზე მოასპარეზე კასპის "გენერალმა".

12 სექტემბერს მან თბილისის "თეგეტას" გუნდს მოუგო ანგარიშით 3:2, 17 სექტემბერს კი "თიბისი ლიზინგს" 6:2-ზე. და ახლა გათამაშების ცხრილში პირველ საფეხურზეა (12 მოგებით და ერთი მარცხით), 36 ქულა აქვს და 5 ქულით უსწრებს მეორე ადგილოსან "არქს".

კასპის კულტურის ცენტრის მიმდებარედ, ქალაქის ცენტრალურ სკვერში "მუსიკალური საღამო" გაიმართა. ღონისძიება მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი სივრცე მოეწყო როგორც პატარებისთვის, ისე უფროსებისთვის.

ჩატარდა მრავალფეროვანი ვორქშოფები და ბავშვებისთვის მოეწყო ანიმატორების შოუ. ასევე, გამოიფინა ადგილობრივი მეწარმეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები.

საღამო გალა-კონცერტით დასრულდა, ადგილობრივი მსმენელის წინაშე ჯგუფი "New One", მირზა მოდებაძე, ირინა ბაირამაშვილი და თიკა ბალანჩინი წარდგნენ.

შიდა ქართლში "მუსიკალური საღამოები" კასპში გამართული ღონისძიებით დასრულდა.

ახალი სასწავლო წელი ახალ ეტაპებით დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექცია (დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი) და ქ. კასპის მესამე საბავშვო ბაგა-ბაღის (გამგე თეა ქუტაშვილი) კოლექტივი მადლობას ვუხდით შპს "ჯერმანცემენტელტედეს", რომ იზრუნეს ჩვენი აღსაზრდელების წახალისებაზე და შემოგვწირეს სათამაშოები.

იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ჩვენი, სკოლამდელი აღზრდის დარგის მუშაკების, გულითადი მადლიერების გამოხატვა, რა დგას ზემოაღნიშნული კონკრეტული ფაქტის მიღმა, კარგადაა გაცხადებული და ახსნილი მადლობის ადრესატი მხარის — შპს "ჯერმანცემენტელტედეს" ხელმძღვანელების ქეთი ოქრუაშვილისა და ჟანა თაგვიაშვილის განმარტებაში:

ოფიციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ჩვენი კომპანია ზრუნავს ბავშვების წახალისებაზე და მხარს უჭერს თამაშით სწავლების მეთოდს. სწორედ ამიტომ საჩუქრების სახით გადმოგეცით განმავითარებელი სათამაშოების კომპლექტი.

"ჯერმანცემენტი" გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს! გასაუბრების და სტუმრობის შემდეგ ვნახეთ, რამდენად დიდი შრომა არის ბაღის კეთილმოწყობაში გაწეული თავად დასაქმებული პირებისაგან და რამდენად პროფესიონალურად უდგებიან ისინი კასპის მომავალი თაობის აღზრდას.

შესაბამისად, გაგვიჩნდა სურვილი ამ პროცესში ჩვენი პატარა წვლილიც შეგვეტანა. ამასთან, ვფიქრობთ, ჩვენი ასეთი ნაბიჯი სხვა საწარმოებისთვისაც მაგალითის მიმცემი იქნება. ნამდვილად!

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ საფეხბურთო სკოლის, კალათბურთის, კარატეს, კინგბოქსის, ჭადრაკის, რაგბის, ჭიდაობის და ათლეტიზმის წრის მოსწავლეებს სპორტული ინვენტარი შეუძინა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა გადასცეს.

მუნიციპალიტეტის მერი შეხვდა მწვრთნელებსა და მშობლებს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, ჯანმრთელი თაობისა და წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობის და მხარდაჭერის მიზნით, მუნიციპალიტეტში გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

ნინასაარჩევნო აგიტაციისა და ნინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2023 წლის 2 აგვისტოდან - არჩევნების დასრულებამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი.
გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 3680 სმ²; მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 1840 სმ² A3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ² 40 თეთრი).

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ. კასპი
საპაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76